

შეხვედრის ადგილი	ახალციხე/ უნივერსიტეტის სააქტო დარბაზი
თარიღი/დრო	24.10.03.2009/ 13:00
მონაწილეები	სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის მდივანი თენგიზ შარმანაშვილი, საქართველოს კონსტიტუციის გადასინჯვისა და საქართველოს კონსტიტუციური მემკვიდრეობის საკითხთა სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი მალხაზ მაცაბერიძე, სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის წევრი ზურაბ ჯიბლაშვილი, „სამართლიანი არჩევნების“, ადგილობრივი თვითმმართველობისა და საზოგადოების სხვა წარმომადგენლები.
შედეგი	შეხვედრაზე თენგიზ შარმანაშვილმა ისაუბრა სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის შექმნის მიზანზე. მან აღნიშნა ის ფაქტორები რამაც განაპირობა არნიშნული კომისიის შექმნა და ის ფაქტიც, რომ საზოგადოებაში არსებობს სურვილი და მზადყოფნა საკონსტიტუციო ცვლილებებისა. შეხვედრაზე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენლები დაინტერესდნენ, სახელმწიფო მმართველობის ფომებთან, სასამართლო ხელისუფლების, ადამიანის ძირითად უფლებებთან და ადგილობრივი თვითმმართველობასთან დაკავშირებული საკითხებით. მოქალაქეებმა აღნიშნეს, რომ მსგავსი შეხვედრები ხელს შეუწყობს მოსახლეობის ინფორმირებასა და ჩართულობას საქართველოს კონსტიტუციის გაუმჯობესების პროცესში.